შპს ევაპიფაი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 3

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება 4

სააღრიცხვო პოლიტიკა 5

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 13

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

	შენიშვნა	**31/12/2024**	**31/12/2023**	**31/12/2022**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	4,694	85,462	76,421
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	817,006	2,218,534	2,714,897
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		158,890	192,405	338,929
მარაგები	3	203,481	744,694	1,135,481
სხვა		203,481	744,694	1,135,481
სხვა მოკლევადიანი აქტივები		8,216	-	-
ძირითადი საშუალებები	4	42,325	94,951	48,345
სულ აქტივები		1,234,612	3,336,046	4,314,072
ვალდებულებები		-		
საიჯარო ვალდებულება		-	5,094	10,349
სავაჭრო ვალდებულებები	5	234,737	367,773	196,798
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	7,094	0
საგადასახადო ვალდებულებები		-	35,147	20,495
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		-	847,961	1,283,905
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		1,132,702	1,244,600	1,907,484
სხვა ვალდებულებები		646,202	492,683	187,786
სულ ვალდებულებები		2,013,641	3,000,351	3,606,817
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(779,029)	335,695	707,255
სულ საკუთარი კაპიტალი		(779,029)	335,695	707,255
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,234,612	3,336,046	4,314,072
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,192,287	3,241,094	4,265,728
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		880,939	1,755,751	1,699,333

დირექტორი

გიორგი მაკარიძე

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	**შენიშვნა**	**31/12/2024**	**31/12/2023**	**31/12/2022**
ნეტო ამონაგები		734,020	4,016,925	5,339,354
საქონლის გაყიდვიდან		734,020	4,016,925	5,339,354
გაყიდვების თვითღირებულება		(833,060)	(2,015,011)	(2,942,654)
საერთო მოგება		**(99,040)**	**2,001,914**	**2,396,700**
დასაქმებულთა ანაზღაურება	6	(498,750)	(953,003)	(636,378)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(29,363)	(27,343)	(10,413)
საპროცენტო ხარჯი		(162,146)	(286,276)	(186,156)
იჯარის ხარჯი		-	(147,308)	(127,059)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(320,046)	(736,878)	(625,657)
სულ საოპერაციო ხარჯები		**(1,010,305)**	**(2,150,809)**	**(1,585,662)**
საოპერაციო მოგება		**(1,109,345)**	**(148,894)**	**811,038**
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:				
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		27,528	(82,307)	(50,317)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(32,907)	(140,359)	(35,860)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		**(1,114,724)**	**(371,560)**	**724,861**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-	(15,130)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		**(1,114,724)**	**(371,560)**	**709,731**
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):				
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		**(1,114,724)**	**(371,560)**	**709,731**
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		335,695	707,255	(2,476)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		**(779,029)**	**335,695**	**707,255**

დირექტორი

გიორგი მაკარიძე

სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს ევაპიფაისთვის 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.
კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2021 წლის 17 დეკემბერს საიდენტიფიკაციო კოდით 405498956.
კომპანია ძირითადი საოპერაციო საქმიანობა არის თამბაქოს ნაწარმის, კერძოდ ელექტრონული სიგარეტების იმპორტი და ადგილობრივ ბაზარზე საცალო და საბითუმო რეალიზაცია
ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, დირექტორი არის გიორგი მაკარიძე 01017016579.
კომპანიის დამფუძნებელი დაარსების დღიდან 2022 წლის 15 აგვისტომდე იყო გიორგი მაკარიძე პ.ნ. 01017016579, 2022 წლის 15 აგვისტოდან 2023 წლის 3 ნოემბრამდე იყო შპს ევაპიფაი, 520635865, 5272980073 /პოლონეთი/, პოლონეთი, ქ. ვარშავა, ზლოტის ქუჩა, #75ა/7, 2023 წლის 3 ნოემბრიდან 2024 წლის 11 ივნისამდე კომპანიის დამფუძნებელი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება BFIN SIA, 44103140085 /ლატვია/. 2024 წლის 11 ივნისიდან 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის კომპანიის დამფუძებელი იყო შეზღუდული პასუხისმგელობის საზოგადოება Evap Technologies SA, CHE425.364.555 /შვეიცარია/.
კომპანიას არ ჰყავს შვილობილი.
კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი.ჭავჭავაძის გამზ., N 14, მანსარდა.

მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.
კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია ლარამდე დამრგვალებით თუ სხვაგვარად არაა მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული საღრიცხვო შეფასებები.

შეფასების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.
ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით:

პერიოდი	აშშ დოლარი	ევრო	ჩინური იუანი
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306	0.38452
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753	0.37819
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.702	2.8844	0.39063
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.504	0.48592

გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან გასაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადებით კლასიფიცირებულია, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მისი დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და შესაძლებლობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.
ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა მოთხოვნიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების მეშვეობით.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და ამავე დროს იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს კომპანიის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს კომპანიის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.
მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების შესაფასებლად კომპანია იყენებს თვითღირებულების მოდელს დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისთვის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისათვის როგორიცაა: გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან საქონლის საწარმოებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. კომპანია საინვესტიციო ქონების თავდაპირველ აღიარებას და შემდგომ შეფასებას ახდენს თვითღირებულებით.
საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.
ცვეთა საინვესტიციო ქონებას ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.
საინვესტიციო ქონებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მოგება-ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, ხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული საბალანსო ღირებულება ხდება მისი დასაშვები ღირებულება სააღრიცხვო მიზნებისთვის.
შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, თუ მომავალში მოსალოდნელია დანახარჯებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, მათი გაწევის მომენტში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.
შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.
ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახული იყო ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.
ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.
ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მირებული სერვისის ან შეძენილი საქონლის სანაცვლოდ მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:
- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);

- კანონმდებლობა; ან

- სხვა კანონიერი ქმედება.
კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:
წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვადებულებებს.
ტერმინი “პირობითი ვადლდებულება“ გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.
სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და

- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:

- შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიის მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან

- მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელა ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა

- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა

- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან

- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან

- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.
საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

შემოსავალი

შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. შემოსავლების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულების ოდენობით, ნებისმიერი ფასდაკლების, საბითუმო ფასდაკლების და დღგ-ს გამოკლებით.
საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს მფლობელობასთან და მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.
ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი
ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.
იჯარის ვადა არის მოიჯარის მიერ იჯარით აღებული აქტივით სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის მონაკვეთი, რომელიც არ ექვემდებარება შეცვლას ან გაუქმებას, იმ დამატებითი დროის მონაკვეთთან ერთად, რომლის განმავლობაში მოიჯარეს, ხელშეკრულების

თანახმად უფლება აქვს გააგრძელოს აქტივის გამოყენება გარკვეული დამატებითი თანხის გადახდის ან გადაუხდელობის პირობით.
კომპანია როგორც მეიჯარე - საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.
კომპანია როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.
კომპანია ახდენს გარკვეული საღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული სალაროში	-	1,406	856	-
ფული საბანკო ანგარიშებზე ქართულ ლარში	4,664	80,428	75,088	-
ფული საბანკო ანგარიშებზე სხვა ვალუტაში	30	3,628	477	27,922
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**4,694**	**85,462**	**76,421**	**27,922**

შენიშვნა 2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფინანსური მოთხოვნები				
სავაჭრო მოთხოვნები	817,006	2,218,534	2,714,897	-
საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	0		-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**817,006**	**2,218,534**	**2,714,897**	**-**

შენიშვნა 3 მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საქონელი	203,040	742,725	1,131,784	-
წედლეული და მასალები	441	1,969	3,697	-
სულ მარაგები	**203,481**	**744,694**	**1,135,481**	**-**

შენიშვნა 4 ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	საოფისე ინვენტარი და აღჭურვილობა	სულ
31 დეკემბერი 2022	**58,757**	**58,757**
შემოსვლა	82,715	82,715
აფასება/ჩამოფასება		-
გასვლა	(8,864)	(8,864)
31 დეკემბერი 2023	**132,608**	**132,608**
შემოსვლა	-	-
აფასება/ჩამოფასება		
გასვლა	(31,876)	(31,876)
31 დეკემბერი 2024	**100,732**	**100,732**
დაგროვილი ცვეთა		
31 დეკემბერი 2022	**(10,413)**	**(10,413)**
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	99	99
წლის ცვეთა	(27,343)	(27,343)
31 დეკემბერი 2023	**(37,657)**	**(37,657)**
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	8,613	8,613
წლის ცვეთა	(29,363)	(29,363)
31 დეკემბერი 2024	**(58,407)**	**(58,407)**
ნეტო საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2021	**-**	**-**
31 დეკემბერი 2022	**48,345**	**48,345**
31 დეკემბერი 2023	**94,951**	**94,951**
31 დეკემბერი 2024	**42,325**	**42,325**

შენიშვნა 5 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	(234,737)	367,773	196,798	2,915
სხვა ვალდებულებები	-			
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**(234,737)**	**367,773**	**196,798**	**2,915**

შენიშვნა 6 ხელმძღვანელ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი

	2023	2023	2022
ხელფასები	245,703	294,650	287,548
სულ ხელმძღვანელ პირებზე გაცემული ხელფასები	**245,703**	**294,650**	**287,548**

შენიშვნა 7 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023	2022
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯი	(188,493)	(404,062)	(303,871)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(28,480)	(66,640)	(41,558)
მიწოდების სხვა ხარჯები	(884)	(23,578)	(32,515)
საოფისე ხარჯი	(5,762)	(10,524)	(11,480)
კომუნიკაციის ხარჯი	(2,742)	(7,819)	(2,988)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(9,375)	(12,866)	(10,051)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	-	(155,684)	(199,154)
სხვა ხარჯი	(84,310)	(55,704)	(24,040)
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯ	**(320,046)**	**(736,878)**	**(625,657)**

შენიშვნა 8 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:
(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
(დ)მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშნველოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.
დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.
2022-2024 წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშრებულ მხარეებთან ოპერაციები არ ჰქონია.

შენიშვნა 9 პირობითი ვალდებულებები

ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულა არანაირი რეზერვი შესაძლო დანაკარგებთან დაკავშირებით.

შენიშვნა 10 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 2025 წლის 17 მარტს განხორციელდა კომპანიის დამფუძნებლის ცვლილება. კომპანიის მესაკუთრე 100% წილის მფლობელი გახდა გიორგი მაკარიძე, პ/ნ 01017016579. კომპანიას გადაწყვეტილი აქვს ქართულ ბაზარზე საქმიანობის შეწყვეტა.

შენიშვნა 11 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბერს;

დირექტორი

გიორგი მაკარიძე